ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N98

2015 წლის 30 ივნისი
ქ. ქობულეთი

შპს „პისი მაქსი"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს „პისი მაქსს" თანდართული სქემების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური არხის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე 2015 წლის 15 სექტემბრიდან.

2. შპს „პისი მაქსმა" უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური არხის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**


Цихисдзири
м. Цихисдзири
Буянари
ЧАКВА
Ульяновка